ᲐᲠᲘᲡ ᲠᲕᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲔᲚᲡ — ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ!

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ მრეწველობის მშრომელები წარმატებით განაგრძობენ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის მიჯნების დალაშქვრას. როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1981 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, უკვე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების იანვარ-აგვისტოს გეგმა.“

როგორც ქალაქ თბილისის სტატისტიკური სამმართველო იუწყება, რესპუბლიკის დედაქალაქის მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების მიმდინარე წლის რვა თვის გეგმა.

(საქინფორმი).

7 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲞᲝᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲐᲛ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ.

(იხ. მე-2 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

№ 168
(6979)

1981 წ.
30 აგვისტო,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ
1934 ᲬᲚᲘᲡ
18 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ვიდრე
სექტემბრის
ზარი
დარეკავს...

ზეიმთა ზეიმი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ქუჩებში გაჩნდა ვეებერთელა ტრანსპარანტები: „გილოცავთ ახალ სასწავლო წელს, ძვირფასო მეგობრებო!“, „პატივცემულო მასწავლებლებო, ძვირფასო მშობლებო და საყვარელო ბავშვებო, თბილისი გულთბილად გეგებებათ თქვენ!“

მართლაც დიდი სიხარულით და სითბოთი ხვდება თავის აღსაზრდელებს **თბილისის 58-ე საშუალო სკოლა.** კრიალა საკლასო ოთახები, კაბინეტ-ლაბორატორიები, ახლადგარემონტებული სპორტული დარბაზები ანცი გოგო-ბიჭების მოლოდინში გაყურსულან.

ერთ-ერთ საკლასო ოთახში მეხუთეკლასელი ბიჭუნები ფუსფუსებენ. ისინი ამ სკოლის ეგრეთ წოდებული „სპორტული კლასის“ მოსწავლეები არიან. დიახ, ახალი სასწავლო წელი ამ სკოლაში მშვენიერი სიახლით აღინიშნება: იმისათვის, რომ ამაღლდეს სპორტული დისციპლინა, შეიქმნა ექსპერიმენტული ჯგუფი ე. წ. „სპორტული კლასი“, სადაც მხოლოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები გაერთიანდებიან. პატარა კალათბურთელებს **გია მიქაძე** და **თამაზ ოქრუაშვილი** წვრთნიან, ხოლო დანარჩენ საგნებს უნივერსიტეტიდან და სხვადასხვა ინსტიტუტიდან მოწვეული მასწავლებლები ასწავლიან.

— დიდი სპორტული ტრადიციები აქვს ჩვენს სკოლას, — გვეუბნება სკოლის დირექტორი **ლამარა მარგველაშვილი,** — დავით ყიფიანი, ლევან მოსეშვილი, ავთანდილ ჭკუასელი, თემურ ბენდიაშვილი და ბევრი სხვა ამ კედლებიდან გავიდა სპორტულ სარბიელზე. ჩვენი ექსპერიმენტით გვინდა აღვადგინოთ ის ტრადიციები...

ტრადიციების აღდგენაზე რომ ზრუნავენ, ეს ნათელია. ზაფხულის არდადეგებზე სპორტულ დარბაზებში ჩატარდა რემონტი, გაკეთდა განათება, სულ მალე ინვენტარსაც მოიმარაგებენ. ასე რომ მშვენიერ, ახლადგარემონტებულ დარბაზებს ემატება მონდომება, ენთუზიაზმი, რაც სკოლაში ფიზკულტურის და სპორტის მაღალ დონეზე დაყენების შესანიშნავ პირობებს შექმნის.

არც **51-ე საშუალო სკოლის** (დირექტორი **ლალი ზარანდია**) მოსწავლეები დარჩებიან გულნაკლულნი — სკოლის ხელმძღვანელებს, მშენებლებს ბევრი უშრომიათ, რომ ახალი სასწავლო წლის დასაწყისი ნამდვილ დღესასწაულად ექციათ ბავშვებისათვის.

ზაფხულში სარემონტო სამუშაოებს აქ კალინინის რაიონის სარემონტო კანტორა ასრულებდა. კაპიტალურად შეკეთდა ორივე სპორტული დარბაზი, გასახდელები, ეზოც წესრიგში მოიყვანეს (კარგ ამინდში ფიზკულტურის გაკვეთილები სუფთა ჰაერზე ჩატარდება).

— 36-ე პირველ სექტემბერს ვხვდები ამ სკოლაში, — ამბობს ფიზკულტურის უფროსი მასწავლებელი, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **გიორგი გაბიტაშვილი,** — ჩვენს ბავშვებს, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად ფიზკულტურის გაკვეთილი უყვართ. გვყავს 16 სპორტის ოსტატი, 22 — სპორტის ოსტატობის კანდიდატი. ყოველწლიურად გადაჭარბებით ვასრულებთ მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმას...

შესამჩნევი წარმატებები ჰქონდათ ბოლო ხანს ამ სკოლის მოსწავლე-სპორტსმენებს: მშვილდოსანმა შალვა წიბლიაშვილმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა, ხელბურთელი გია თეთრაძე საქართველოს ნაკრებში შეიყვანეს; თავიანთი სპორტული მაჩვენებლები გააუმჯობესეს წყალში მხტომელმა და-ძმა პატარაიაებმა, ტანმოვარჯიშე ხათუნა ნანიშვილმა...

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლებში დიდი დასვენების გამოყენების საკითხს. როგორც გ. გაბიტაშვილმა გვითხრა, დიდ დასვენებაზე (იგი აქ 10-წუთიანია, რადგან სკოლა სამ ცვლად მუშაობს) ბავშვებს ეძლევათ საშუალება შეასრულონ თავისუფალი ვარჯიშები და გაერთონ სპორტული თამაშობებით. ყველაზე კარგი კი ალბათ მაინც ის არის, რომ ადგილი არ ექნება ფიზკულტურის გაკვეთილების დამთხვევას, რაც ხელს შეუწყობს მეცადინეობის სრულყოფილად, მაღალ დონეზე ჩატარებას.

...კალენდარს აგვისტოს ორიოდე ფურცელიღა შემორჩა. ქალაქის ქუჩებში უკვე გამოჩნდნენ მზით გარუჯული, დასვენებული და ჯანმრთელი, ხალისითა და სიცოცხლით სავსე გოგო-ბიჭები, სასწავლო ნივთებზე მოფუსფუსე მშობლები, სკოლისკენ მიმავალი ღვაწლმოსილი და ახალბედა პედაგოგები. პირველი სექტემბერი ყველა მათგანისათვის ზეიმთა ზეიმი, დღესასწაულთა დღესასწაულია.

ძვირფასო მეგობრებო! დაგელოცოთ სკოლისკენ, ცოდნის მწვერვალებისკენ მიმავალი დიდი, ძნელი და ლამაზი გზა.

ᲜᲐᲜᲐ ᲯᲝᲮᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲜᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს შრომით სემესტრებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ტრადიციას მათ არც წლეულს უღალატეს. 400-მდე სტუდენტი იღვწოდა სხვადასხვა შრომით ფრონტზე. ერთ-ერთი რაზმი „ეგრისი-81“ (მეთაური შ. ფაჩულია) ხობის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთში“ (დირექტორი დ. ქირია) ატარებდა შრომით სემესტრს. სტუდენტებმა კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. მათ მიერ მოკრეფილია 4630 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, 6 ტონამდე კურკოვანი ხილი, 4735 კილოგრამი დაფნა. რაზმმა ვადამდე გაანაღდა დავალება. უკვე 13 აგვისტოსთვის გეგმა 110 პროცენტით შესრულდა. შრომაში თავი გამოიჩინეს სტუდენტებმა: რ. დარბაიძემ, მ. თავბერიძემ, კ. ნარმანიამ, გ. ნეფარიძემ, ქ. ჩარკვიანმა, მ. ტარუაშვილმა, გ. ჭუჭუხაშვილმა, ც. მოსესოვამ, ქ. სოხაძემ, ე. ალადაშვილმა და სხვებმა.

რაზმის მებრძოლები სამუშაოსაგან თავისუფალ დროს აქტიურად მონაწილეობდნენ სპორტულ ღონისძიებებში. ჩაატარეს შიდასარაზმო სპარტაკიადა შაშში, ჭადრაკში, მძლეოსნობაში, მშთ-ს მრავალჭიდში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ტყვიის სროლაში, რომელიც საშეფო ხობის მე-2 საშუალო სკოლის ტირში გაიმართა. ასპარეზობაში ორმა სპორტსმენმა პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულა.

„ეგრისი-81“-ის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ზონალურ სპარტაკიადაშიც. ჭადრაკში მე-V ადგილი დაიკავეს, კალათბურთში — IV, ხოლო ფრენბურთში III საპრიზო ადგილზე გავიდნენ. ამ წარმატებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ რაზმის მებრძოლებმა საცხოვრებელი კორპუსის გვერდით მეურნეობის დირექციის დახმარებით მარტივი ტიპის სპორტული მოედანი მოაწყვეს და ასპარეზობებსაც იქ მართავდნენ. უნდა აღინიშნოს რომ შრომაში და სპორტულ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ სტუდენტები ქ. კოპაძე, მ. ფირანიშვილი, დ. ქიქიაშვილი, მ. ბაბალაშვილი, ლ. ცხადაძე, ლ. ქარჩავა, მ. კაცელაშვილი, ც. ქაჩლიშვილი, ლ. ტყემალაძე, ვ. დოლიაშვილი, ზ. ზურაბაშვილი და სხვები...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომავალმა პედაგოგებმა ვადამდე გაანაღდეს საწარმოო დავალებები. 1 სექტემბერს კი თანატოლებთან ერთად პირნათელნი მიაშურებენ მშობლიურ ინსტიტუტს და ახალი ენერგიით შეუდგებიან სწავლას.

Ვ. ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ,
(„ლელოს“ ხპეც. კორ.).
ხობი.

● ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

Ი. ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲨᲘ დამთავრდა სსრ კავშირისა და ბულგარეთის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა, რომელშიც ამ ორი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა.

წარმატებით იასპარეზა თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა **ირინე გაბაშვილმა,** რომელმაც მთელი ასპარეზობა თანაბრად განვლო და მრავალჭიდში მესამე ადგილი დაისაკუთრა. ამას გარდა, ირინეს წილად ხვდა მესამე ადგილი ლენტით ვარჯიშში, ხოლო რგოლით ასპარეზობაში მან II-III ადგილები გაიყო ირინა დევინასთან (სსრ კავშირი) ერთად.

მრავალჭიდში გამარჯვებული გამოვიდა ი. დევინა, მეორე იყო ბულგარელი ა. რალენკოვა. გუნდური პირველობა მოიგო ჩვენი ქვეყნის ნაკრებმა — 192,85. ბულგარელმა ტანმოვარჯიშეებმა 191,4 ქულა მოაგროვეს.

● ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

ორი ლიდერი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში დღეს მთავრდება უმაღლეს სასწავლებელთა სპორტკლუბების საკავშირო სპარტაკიადით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის.

გუშინ შედგა ბოლოსწინა ტური. ჩელიაბინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ხელბურთელებმა აშკარად დაჯაბნეს თავიანთი ტაშკენტელი კოლეგები — 43:25 (25:12) და მეხუთე ადგილისთვის გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან უფის უნივერსიტეტის სპორტსმენებს.

საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდები უკომპრომისოდ იბრძოდნენ თავიანთ მორიგ მატჩებში:

ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲘᲔ) — 27:25 (12:13).

წლევანდელი სპორტული სეზონი ამ ორი სახელმოხვეჭილი გუნდისთვის აშკარად უიღბლო გამოდგა. სსრ კავშირის 1981 წლის ჩემპიონატში მათ არასახარბიელო ადგილები დაიკავეს გათამაშების ცხრილში. ამიტომაცაა რომ ორივე გუნდი თბილისში იბრძვის პრესტიჟის აღსადგენად.

საინტერესო და დაძაბულ ორთაბრძოლაში გამარჯვების სასწორი ავიამშენებელთა მხარეს გადასძალა ო. გაგინმა — სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა, რომელმაც 12 გოლი გაიტანა. მისი ტყორცნების წინაშე უძლური აღმოჩნდა ზაპოროჟიელ სტუდენტთა დაცვა, რომელსაც 2 ოლიმპიური ჩემპიონი ს. კუშნირიუკი და ა. რეზანოვი — ედგათ სათავეში.

ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ (ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘ) 26:25 (13:13).

კრასნოდარელებმა მთელი შეხვედრის მანძილზე აირჩიეს დაცვითი სისტემა 5 — 1 პერსონალურად ა. ანპილოგოვის წინააღმდეგ, რამაც თბილისელთა მთავარი დამრტყმელი ძალა დაასუსტა. ვ. გასიმ რამდენიმეჯერ სცადა თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება, მაგრამ მისი ტყორცნები არაზუსტი იყო. მხოლოდ ვ. ბერიაშვილი და ა. ტაბიძე აქტიურობდნენ, კარში საიმედოდ მოქმედებდა ა. კომახიძე. ყველაფერმა ამან თბილისელები მატჩის ბოლოს დააწინაურა, რაც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის — 26:25.

დასკვნითი ტურის წინ გათამაშებას 2 ლიდერი ჰყავს: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 3-3 ქულა.

* * *

სურათზე: საჯარიმოს იგერიებენ სპი-ის ხელბურთელები.

გ. ახალაძის ფოტო.

ვ. მენჩიკი

ლ. რუდენკო

ე. ბიკოვა



ო. რუბცოვა

ნ. გაფრინდაშვილი

მ. ჩიბურდანიძე

მ. ჩიბურდანიძე— ნ. ალექსანდრიას მატჩის წინ

1. მატიანე მოგვითხრობს...

XIX საუკუნის მიწურულს საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში მოჭადრაკე ქალებიც ჩაებნენ. 1897 წელს ლონდონში მათ გამართეს პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელმაც ფრთები შეასხა ქალთა საჭადრაკო მოძრაობას.

ფიდე-მ დაარსების დღესვე (20.VII. 1924) საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მოჭადრაკე ქალთა მოძრაობის ხელის შეწყობა მიაჩნია. და აი, 1927 წელს ლონდონში მოეწყო პირველი მსოფლიო ჩემპიონატი. ბრძოლაში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ყველას აჯობა ჩეხმა 21 წლის ვერა მენჩიკმა (დაიბ. 16. II. 1906), რომელმაც 10,5 ქულა მოაგროვა. ფიდე-მ იგი პირველ ჩემპიონად გამოაცხადა და ოქროს მედლით დააჯილდოვა.

მენჩიკმა კიდევ ექვსჯერ (1930, 1931, 1933, 1935, 1937, 1939 წწ.) მოიპოვა მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის სახელი. საინტერესოა, რომ მას თითქმის არასოდეს ჰყოლია გვირგვინის რამდენადმე სერიოზული მოცილე. ზოგ ჩემპიონატში ისე გაიმარჯვა, რომ ერთი პარტიაც არ დაუმთავრებია ყაიმით. მსოფლიო პირველობაზე მენჩიკმა სულ 83 პარტია ითამაშა, რომელთაგან 78 მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთი წააგო. თითქმის მუდამ ოსტატ ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობდა, მეტოქეობას უწევდა ხ. კაპაბლანკას, ა. ალიოხინს, ს. ფლორს, მ. ეივეს, პ. კერესს, მ. ბოტვინიკს და სხვებს.

მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი. 1944 წლის 27 ივნისს ტრაგედია დატრიალდა: ღამით, ლონდონის დაბომბვისას ყუმბარა დაეცა მენჩიკის სახლს და მიწასთან გაასწორა. ამ დროს შინ იყვნენ ვერა, მისი და, ისიც ცნობილი მოჭადრაკე ოლგა მენჩიკი და მათი დედა.

„ეს ტრაგედია უნდა ახსოვდეს ჭადრაკის სამყაროს, კეთილი ნების ადამიანებმა არ უნდა დაუშვან ახალი, უფრო საშინელი, გამანადგურებელი ომის გაჩაღება", — წერდა მ. ბოტვინიკი.

ვერა მენჩიკი 38 წლისა იყო და კიდევ დიდხანს შეეძლო გაძღოლოდა ქალთა საჭადრაკო მოძრაობას.

ფიდე-ს XIX კონგრესმა (სტოკჰოლმი, 1948 წ.) მოიწონა სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის წინადადება ქალთა მსოფლიო პირველობის აღდგენის შესახებ და VIII ჩემპიონატის მასპინძლობა მას დაავალა.

1949-1950 წლების მიჯნაზე მოსკოვში გაიმართა VIII ჩემპიონატი, რომელშიც 16 საბჭოთა და უცხოელი მოჭადრაკე ჩაება. I ადგილი (11,5 ქულა) და ჩემპიონის ტიტული საბჭოთა მოჭადრაკემ ლიუდმილა რუდენკომ (27. VII. 1904) მოიპოვა.

ამ დროიდან ფიდე-მ შემოიღო გათამაშების სამწლიანი ციკლი: ზონალური ტურნირები, პრეტენდენტთა ტურნირი, მატჩი მსოფლიო ჩემპიონსა და პრეტენდენტს შორის. ეს სისტემა, ოდნავ შეცვლილი სახით ახლაც ძალაშია.

პრეტენდენტთა პირველ ტურნირში (1952 წ.) გაიმარჯვა საბჭოთა ოსტატმა ელისაბედ ბიკოვამ (14. XI. 1913). შემდეგ, 1953 წელს მან მატჩი მოუგო რუდენკოს — 8:6 (+7—5=2) და მსოფლიოს მესამე ჩემპიონი გახდა.

1955 წელს პრეტენდენტის უფლება მიიღო სსრ კავშირის პირველმა ჩემპიონმა ოლგა რუბცოვამ (27. VII. 1909). 1956 წელს მან გაიმარჯვა სამთა (ბიკოვა, რუდენკო, რუბცოვა) მატჩ-ტურნირში და მეოთხე ჩემპიონად გამოცხადდა. მაგრამ 1958 წელს ბიკოვამ მოუგო მას მატჩ-რევანში — 8,5:4,5 (+7—4=3) და ტიტული დაიბრუნა. ბიკოვა მესამედაც გახდა ჩემპიონი, როდესაც დაამარცხა პრეტენდენტთა 1957 წლის ტურნირში გამარჯვებული კ. ზვორიკინა — 8,5:4,5 (+6—2=5).

ქალთა ჭადრაკის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო 1962 წელს, როცა 21 წლის ნონა გაფრინდაშვილმა (3. V. 1941) სძლია ბიკოვას — 9:2 (+7—0=4). ნონა 16 წლის მანძილზე ფლობდა ჩემპიონის გვირგვინს და ოთხჯერ დაიცვა იგი ხელყოფისგან: სამჯერ დაამარცხა ა. კუშნირი — 1965 წელს რიგაში — 8,5:4,5 (+7—3=3), 1969 წელს თბილისსა და მოსკოვში — 8,5:4:5 (+6—2=5), 1972 წელს ისევ რიგაში — 8,5:7,5 (+5—4=7) და ერთხელ ნ. ალექსანდრია — 1975 წელს ბიჭვინთასა და თბილისში — 8,5:3,5 (+8—3=1).

საინტერესოა, რომ მსოფლიო პირველობაში საბჭოთა ჩემპიონებიდან ყველაზე მეტი პარტია (35) მოიგო ნონამ. საერთო ჯამში (ექვს მატჩში) ნონამ 80 პარტია ითამაშა ასეთი შედეგით: +35—16=29. დანარჩენ ჩემპიონთა შედეგებია: ბიკოვა — 83 პარტია (+34—25=24), რუდენკო — 45 (+17—18=10), რუბცოვა — 45 (+19—12=14).

ვერა მენჩიკის შემდეგ ნონამ ყველაზე მეტად შეუწყო ხელი ქალთა ჭადრაკის საერთო აღმავლობას. მის დროს მსოფლიოში მომრავლდნენ ძლიერი მოჭადრაკეები და 1976 წელს ფიდე-მ მათთვის შემოიღო საერთაშორისო დიდოსტატის წოდება (საერთაშორისო ოსტატის წოდება 1951 წელს დაწესდა).

ნონამ პირადი მაგალითით დააჯერა საზოგადოებრიობა, რომ მოჭადრაკე ქალებს შესწევთ უნარი უახლოეს დროში გაუთანაბრდნენ ვაჟებს. თვად კი ქალთაგან პირველმა დაიმსახურა საერთაშორისო დიდოსტატის წოდება ვაჟთა შორის.

1969 წლიდან ფიდე-მ გაართულა პრეტენდენტის შესარჩევი სისტემა: შემოიღო საზონათშორისო ტურნირი და პრეტენდენტთა მატჩები. 1976 წლიდან კი უკვე ორი საზონათშორისო ტურნირი და 8 პრეტენდენტის მატჩები ტარდება.

70-იან წლებში საქართველოში გამოჩნდა ნიჭიერ მოჭადრაკეთა ახალი თაობა — მ. ჩიბურდანიძე, ნ. იოსელიანი და ნ. გურიელი, რომლებმაც თავიდანვე მიიქციეს ჭადრაკის სამყაროს ყურადღება.

კოსმოსური სისწრაფით გაიკაფა გზა ჭადრაკის დედოფლის ტახტისკენ მაია ჩიბურდანიძემ (17. I. 1961), რომელმაც ჯერ კიდევ 12 წლის ასაკში აალაპარაკა ჭადრაკის სამყარო. იგი მსოფლიო პირველობაში 1975-1978 წლების ციკლში ჩაება. მაიამ დამაჯერებლად განვლო საზონათშორისო ტურნირი (II-III. 6,5 ქულა 10-დან) და პრეტენდენტთა მატჩები, რომლებშიც დაამარცხა ნ. ალექსანდრია (5,5:4,5), ე. ახმილოვსკაია (6,5:5,5) და ა. კუშნირი (7,5:6,5).

დიდი ინტერესი გამოიწვია ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩმა, რომელიც 1978 წლის შემოდგომაზე ბიჭვინთაში გაიმართა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა ახალგაზრდა პრეტენდენტმა — 8,5:6,5 (+4—2=9) და იგი მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონად გამოაცხადეს.

მსოფლიო პირველობის ახალ, 1978-1981 წლების ციკლის პრეტენდენტთა მატჩებში ოთხი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა — ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი და ნ. გურიელი. დიდი წარმატებით იბრძოლა ნანა ალექსანდრიამ და პრეტენდენტის უფლება მოიპოვა.

უკვე მესამედ ჩემპიონის გვირგვინის ბედი ქართველ მოჭადრაკეთა შორის უნდა გადაწყდეს. მრავლისმთქმელი ფაქტი ამშვენებს ჩვენი ერის სპორტულ წარსულსა და აწმყოს.

თ. გიორგაძე.

● ჭადრაკი

ბრწყინვალე გამარჯვება

მანილაში (ფილიპინები) დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 12 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა საბჭოთა დიდოსტატმა რ. ვაგანიანმა, რომელმაც 9 პარტია მოიგო, ორი ყაიმით დაამთავრა და 10 ქულით I ადგილი დაიკავა.

II ადგილი ხვდა ჩეხოსლოვაკიელ დიდოსტატ ი. სმეიკალს — 8,5, III — საბჭოთა დიდოსტატ ე. გელერს — 8.

ფილიპინების მოჭადრაკეთა მესვეურმა ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა მის ქვეყანაში საბჭოთა დიდოსტატების სტუმრობის გამო. მან თქვა, რომ საბჭოთა მოჭადრაკეების მონაწილეობა მანილის ტურნირში მუდამ იყო ფილიპინების საჭადრაკო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა.

ტურნირები სოჭში

სოჭში მიმდინარეობს II საჭადრაკო ფესტივალი „როსია", რომლის პროგრამაშია ტურნირები, კომპოზიციის მოყვარულთა კონკურსები, ცნობილი დიდოსტატების ლექციები და ერთდროული თამაშის სეანსები.

გულშემატკივართა ყურადღების ცენტრშია ორი დიდი ტურნირი: მ. ჩიგორინის XV მემორიალი და ქალთა XVI საერთაშორისო ტურნირი.

ვაჟთა ტურნირში 16 მოჭადრაკე მონაწილეობს, მათ შორის არიან დიდოსტატები ლ. პოლუგაევსკი, ე. გუფელდი, ა. პანჩენკო, ვ. ცეშკოვსკი (ყველა — სსრ კავშირი), ლ. ლენდიელი (უნგრეთი) და ხ. ვესტერინენი (ფინეთი).

5 ტურის შემდეგ დაწინაურდა საერთაშორისო ოსტატი ლ. ესპიგი (გდრ) — 4. თბილისელ გუფელდს 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. მან მოუგო ვესტერინენსა და ს. დვოირისს, დაუზავდა ა. ვეისლერსა და ი. პრიბილს (ჩეხოსლოვაკია).

ქალთა საერთაშორისო ტურნირში 15 მოჭადრაკე მონაწილეობს. ზოგ მათგანს კარგად იცნობს ჭადრაკის სამყარო. ესენია — დიდოსტატები ნ. იოსელიანი, ტ. ზატულოვსკაია, საერთაშორისო ოსტატები ლ. საუნინა, ლ. ზაიცევა (ყველა — სსრ კავშირი), ვ. შიკოვა (ბულგარეთი), ა. ვაგნერმიჰელი (გდრ), ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გოგონებს შორის ი. ერუსლანოვა (სსრ კავშირი).

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ ნ. იოსელიანი და ტ. ზატულოვსკაია.

ერთნაირი ენერგიით

მაშინ კალათბურთის მოედანი სოფლის ბოლოს, ტრიალ მინდორზე ჰქონდათ მოწყობილი. კალათის მაგივრობას ხეზე მიჭედებული სკამი ასრულებდა. კალათბურთის მოყვარულ ბიჭებს შორის ყოველთვის ერია ტანსხლეტილი გოგონა, რომელიც ხშირად აყალმაყალისა და ჩხუბის მიზეზი ხდებოდა. საქმე ის იყო, რომ იმარჯვებდა ის გუნდი, რომელშიც ეს გოგონა გამოდიოდა — მას ყველაზე მეტი ქულა მოჰქონდა...

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, უკან დარჩა სოფლის ბოლოს მოწყობილი კალათბურთის მოედანი, სკოლა და გოგონა თბილისში ჩამოვიდა სწავლის გასაგრძელებლად.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ნათელა თინიკაშვილი კალათბურთის სექციაში ჩარიცხეს.

სწავლის წარჩინებულს, შესანიშნავი სპორტული მონაცემების მქონეს, უნივერსიტეტის ნაკრებში მიუჩინეს ადგილი.

პარიზი და პრაღა, ვარშავა და ბუდაპეშტი, რამდენი რამ აქვს მოსაგონარი ნათელას, რომელსაც ფართან იშვიათად თუ მოუგებდა ვინმე ბრძოლას.

- დრომ თავისი გაიტანა, სპორტული მაისური სამხრეებიანმა ხალათმა შეცვალა და წარსულში განთქმული სპორტსმენი ქალი მტიცედ დადგა საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე. დადგა და თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა. იგი ერთადერთი ქალია რესპუბლიკაში, რომელიც საგამომძიებლო ქვეგანყოფილებას ხელმძღვანელობს.

ხანდახან დაძაბული დღეები ერთმანეთს გადაეჯაჭვებიან, ადამიანს ბრალად ედება, რომ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. ისიც ადასტურებს, რომ ეს ასეა — გულწრფელად აღიარებს და ინანიებს მცდარ ნაბიჯს. აქ შეიძლება წერტილი დაუსვა საქმეს, მართლმსაჯულებას გადაულოცო იგი, მაგრამ საგამომძიებლო პრაქტიკაში ყველაფერს წყვეტს ალღო და ოპერატიულობა. ყოველი დეტალი უნდა გადაისინჯოს, თვით უმნიშვნელო ფაქტიც კი ასჯერ უნდა აწონო და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიტანო საბოლოო დასკვნა.

წლების მანძილზე მიღებულმა ცოდნამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ ღრმად დაარწმუნა ამაში ნათელა თინიკაშვილი. ხანდახან ერთი შეხედვით უბრალო დანაშაული ტომებშიც არ ეტევა. მათი შედგენა კი დიდ შრომასთანაა დაკავშირებული. უნდა შეხვდე ათობით ადამიანს, ჩაწვდე მათ ბუნებასა და ხასიათს; გაუგო ვარამი და დარდი, არ მისცე საშუალება შეცდომაში შეიყვანოს გამომძიება... და ყველაფერ ამის შემდეგ, როცა გგონია, რომ ბოლო სტრიქონს წერტილი უნდა დაესვას, არცთუ იშვიათად თავიდან იწყება საქმე.

ასეთია გამომძიებლის მშფოთვარე ცხოვრება.

ყველაფერი ეს თითქოს ქალის ძალ-ღონეს უნდა აღემატებოდეს, მაგრამ ასე როდი ფიქრობს მილიციის მაიორი, შინაგან საქმეთა საქარხნო რაიგანყოფილების საგამომძიებლო ქვეგანყოფილების უფროსი ნათელა თინიკაშვილი.

იგი ამაყობს თავისი პროფესიით. ამაყობს იმით, რომ საზოგადოების სიმშვიდის დაცვის სადარაჯოზე დგას, მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას იცავს.

რამდენადაც მკაცრი და დაუნდობელია ნათელა ბოროტების მიმართ, იმდენად თბილია ადამიანებთან დამოკიდებულებაში... ყველაზე დიდ ბედნიერებას კი შვილები — რვა წლის მირანდა და ხუთი წლის ავთანდილი ანიჭებენ.

ოჯახი, სამსახური... ყველას თავისი უნდა მიეზღოს და ნათელაც ერთნაირი ენერგიით ასრულებს ოჯახის დედაბოძის, ხელმძღვანელისა და მშობლის მოვალეობას.

ასეთია წარსულში სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, საგამომძიებლოს უფროსი, მილიციის მაიორი ნათელა თინიკაშვილი.

გ. გვაძაბია.

* * *

სურათზე: ნ. თინიკაშვილი.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 29 აგვისტო.

„დინამო" (თბილისი) — ასკ (დონის როსტოვი) 3:0 (1:0).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (ქვანია), კაკილაშვილი, გუცაევი, ყიფიანი (ცავა), შენგელია.

ასკ: რადაევი, გონჩაროვი, ანდრიუშჩენკო, იაშინი, ბარკეტოვი, კურიატნიკოვი, რომანჩუკი, ანდრეევი, ზავაროვი, გამულა (შუმლინი), ვორობიოვი (ხმოლიანინოვი).

მსაჯი ხ. ბელიაევი (მოსკოვი).

გააფრთხილეს ანდრიუშჩენკო.

მატჩს დაესწრო 35 000 მაყურებელი.

ᲐᲘ, უკვე რამდენი ხანია თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობამ ვერა და ვერ შეძლო ნამდვილი საბრძოლო შემადგენლობის გამოყვანა მინდორზე. დრო გადის, მატჩი მატჩს მოსდევს და გუნდში სტაბილური შემადგენლობის დადგენას არ დაადგა საშველი.

რა თქმა უნდა, ეს არაა გამოწვეული „კარგი ცხოვრებით". თუ რა ხდება ჩვენს ფეხბურთში, მოვიყვანთ ისეთი ავტორიტეტული საფეხბურთო პერიოდული გამოცემის აზრს, როგორიც არის „ფუტბოლ–ჰოკეი" (№ 34, სტატიის ავტორი—ცნობილი კომენტატორი ვ. პერეტურინი).

„...საკუთარი კარის დაცვისას მცველები სულ უფრო მეტად მიმართავენ ფეხებში ჩავარდნის მეთოდს, ამასთან ბევრი მათგანი ამას აკეთებს წესების აშკარა დარღვევით. ფეხბურთელები ხშირად უბრალოდ უხტებიან ფეხებში მეტოქეს და მაინცდამაინც არ დაგიდევენ სადაა ბურთი და სად — მოპირდაპირე მოთამაშის ფეხები. ამგვარ სიტუაციებში გარდუვალია უხეში დარტყმები, ტრავმები. ბურთისთვის ასეთი „თანამედროვე" ბრძოლა იწვევს არა მარტო მატერიალურ ზარალს მეტოქეთა შორის, არამედ გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებასაც ახდენს მათზე, უბრალოდ რომ ვთქვათ, აფრთხობს ტექნიკურად ძლიერ ფეხბურთელებს.

შეიძლება ბევრ შემთხვევაში სწორიც არ არიან ხოლმე თბილისის დინამოელები, რომლებმაც მიმდინარე სეზონში წითელი და ყვითელი ბარათების დიდი რაოდენობა დაიმსახურეს არბიტრებთან საუბრისა და კამათისთვის, მაგრამ რას იზამ, როცა მინდორზე ზოგჯერ დაუფარავი ნადირობაა გამართული ყიფიანის, გუცაევისა და შენგელიას მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ უხეში, ტლანქი თამაში ნაკარნახევია გარკვეული ტაქტიკური ჩანაფიქრით. იციან რა თბილისელ მოთამაშეთა სიფიცხე, ტემპერამენტი, ბევრნი ცდილობენ მათს პროვოცირებას საპასუხო მოქმედებისა და არბიტრებისადმი აპელაციისათვის, ჩვენი მსაჯები კი ხშირად ისე არიან განწყობილი, რომ ცდილობენ უფრო მომჩივანი ფეხბურთელები დასაჯონ მკაცრად, ვიდრე ისინი, ვინც მათ უმოწყალოდ ურტყამს ფეხებში. როგორც წესი, უხეში მოთამაშე გაფრთხილებას ღებულობს მხოლოდ მას შემდეგ, როცა რამდენიმეჯერ გაარტყამს ფეხს მეტოქეს, რაც შეეხება გაძევებას პირველივე „მოცელვის" შემდეგ, ამაზე ლაპარაკიც არ არის".

შემდეგ:

„...ახლა ძნელი გასარკვევიცაა, თუ რა პრინციპით ხდება მსაჯთა ბრიგადების დანიშვნა. მაგალითად, რატომ იყო რომ მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" ცენტრალური მატჩი მიანდეს არც თუ ისეთი მაღალი კვალიფიკაციის არბიტრთა ბრიგადას?"

ვ. პერეტურინი იმასაც აღნიშნავს, რომ თბილისელებმა ზედიზედ 8 გასვლითი მატჩი ჩაატარეს მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე, საკმარისად დააგროვეს ქულები და მაყურებელს აჩვენეს ლამაზი, კომბინაციური თამაში. წლევანდელი სეზონი იოლი როდია თბილისის დინამოელთათვის. მათგან სულ ახალ და ახალ წარმატებებს მოელიან როგორც შინაურ, ისე საერთაშორისო სარბიელზე. მათ საკმაოდ ჰყავთ ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდობა, მაგრამ განა ასე ადვილად შეცვლი გამოცდილ, გამობრძმედილ ოსტატებს? ეს ძნელი საქმეა, მას დრო სჭირდება და ამიტომ გარკვეული მომენტები გუნდის ცხოვრებიდან რეალურად უნდა შევაფასოთ.

მართალი სიტყვებია! ამის თაობაზე არაერთხელ გვითქვამს, მაგრამ როცა ასეთ რთულ საკითხებში ობიექტურად ერკვევა „უცხო", ნეიტრალური პიროვნებაც, ბევრმა ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, რომ ბოლოსწინა ტურის წარუმატებლობა დნეპროპეტროვსკში და შინ ქულის დაკარგვა „ნეფთჩისთან" არ განსაზღვრავს ჩვენი გუნდის დღევანდელ არსებით მდგომარეობას. ანგარიში უნდა გავუწიოთ იმას, რომ დინამოელები მთელ რიგ შემთხვევებში იძულებული შემადგენლობით თამაშობენ და ამის გამო ხშირად უჭირთ ხოლმე, განსაკუთრებით დაცვითს რგოლებში. გაჭირვებისას თანაგრძნობა უნდა გამოვიჩინოთ მუდამ.

საკავშირო ჩემპიონატის ყოველ მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით ახლა, როცა სექტემბერი კარზეა მომდგარი, ბრძოლა განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოებს, თბილისელებს კი წინ აქვთ ესპანეთის ურთულესი „სუპერტურნირი", გამოსვლები ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე, საკავშირო ჩემპიონატის ფინიში.

ასეთი საპასუხისმგებლო იყო გუშინდელი მატჩიც როსტოველებთან, სადაც თბილისელები შედარებით „ნორმალიზებული" შემადგენლობით გამოდიოდნენ მინდორზე. ეს განსაკუთრებით ეხება დაცვას, რომლის წევრებმა დასაწყისიდანვე აიყვანეს მკაცრი კონტროლის ქვეშ არმიელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელები ანდრეევი, ზავაროვი, ვორობიოვი, ზურგი გაუმაგრეს გუნდს და საშუალება შეუქმნეს ნახევარდაცვისა და თავდასხმის რგოლებს თამამად ეწარმოებინათ შემტევი ოპერაციები. ყიფიანმა ხელთ აიღო კომბინაციური სადავეები, გუცაევი, შენგელია განუწყვეტლივ არღვევდნენ მეტოქეთა დაცვის რიგებს, შუა მინდორში ნაყოფიერად მოქმედებდნენ დარასელია, სვანაძე, კაკილაშვილი.

სტუმრებმა, არსებითად რომ ვთქვათ, ვერაფერი გააწყეს დინამოელებთან, თუმცა ცდა მათ არ დაუკლიათ. თბილისელები უკლებლივ ყველა რგოლში ჯობდნენ მეტოქეს — ტექნიკურად, ტაქტიკურად, სისწრაფით.

ანგარიში მე-11 წუთზე გახსნა კაკილაშვილმა გუცაევის შესანიშნავი გარღვევის შემდეგ — 1:0. პირველ ტაიმში თბილისელებმა ეს იკმარეს, შესვენების შემდეგ კი მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა. 48-ე წუთზე არმიელთა მცველებისა და მეკარის დაბნეულობით კარგად ისარგებლა შენგელიამ, რომელმაც მეორე ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში და უკვე მაშინ, როცა თბილისელთა გამარჯვება, მოჭადრაკეთა ენით რომ ვთქვათ, მხოლოდ „ტექნიკის საქმე" იყო, ეს ტექნიკა გამოავლინა გუცაევმა: ჯერ კარში დაარტყა შენგელიამ, ბურთი ხელიდან გაუვარდა რადაევს, მას მიუსწრო გუცაევმა და მეკარემ ველარ გამოასწორა თავისი შეცდომა — 3:0.

ხუთიოდე წუთი აკლდა მსაჯის საფინალო სასტვენს და სტუმრები ორჯერ ზედიზედ გადაურჩნენ ნაღდ გოლს: შენგელიას ორი დარტყმა ძელს მოხვდა.

დღეს თბილისის დინამოელები ესპანეთს მიემგზავრებიან მეტად საინტერესო „ოთხთა ტურნირში" მონაწილეობის მისაღებად. წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ფეხბურთელებს!

ბ. ქორქია.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები:

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" მნ. — „ᲤᲐᲮᲗᲐᲥᲝᲠᲘ" 3:1

„ᲖᲔᲜᲘᲢᲘ" — „ᲥᲐᲘᲠᲐᲗᲘ" 1:1

„ᲧᲣᲑᲐᲜᲘ" — „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ" 2:1

„ᲢᲐᲕᲠᲘᲐ" — „ᲓᲜᲔᲞᲠᲘ" 0:1

„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ" — „ᲜᲔᲤᲗᲩᲘ" 6:1

ᲪᲡᲙᲐ — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" კ. 2:0

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲨᲘ, „ᲝᲗᲮᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ"

1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში იწყება მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში, სადაც მონაწილეობენ ევროპის საუკეთესო გუნდები: „რეალი" (მადრიდი, ესპანეთი), „ბაიერნი" (მიუნხენი, გფრ), „აზ 67" (ჰოლანდია, ალკმარი) და „დინამო" (თბილისი, სსრ კავშირი). ამ დიდი ტურნირის პარალელურად გაიმართება ამავე გუნდების ახალგაზრდულ შემადგენლობათა შეჯიბრებაც.

თბილისის „დინამო" დღეს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება ესპანეთს: ნ. ახალკაცი (უფროსი მწვრთნელი), კ. ასათიანი (გუნდის უფროსი), ზ. თელია (ექიმი), ა. გაბიტაშვილი (მასაჟისტი); ფეხბურთელები — ო. გაბელია, კ. მჭედლიძე, ა. ჩივაძე, შ. ხინჩაგაშვილი, ა. ანდღულაძე, ნ. ხიზანიშვილი, გ. თავაძე, ლ. მელიქია, ვ. დარასელია, ზ. სვანაძე, ნ. კაკილაშვილი, ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი, რ. შენგელია, ვ. ქვანია, გ. ცავა. „დინამოს" წამყვანი ფეხბურთელები თ. სულაქველიძე და თ. კოსტავა ვერ გაემგზავრებიან ტრავმის გამო.

ახალგაზრდულ გუნდს ხელმძღვანელობენ ს. კუტივაძე და გ. ნოდია. ფეხბურთელთა შორის არიან: მ. არზიანი, გ. გერაძე, ვ. გვენცაძე, გ. გოგრიჭიანი, გ. გურული, ზ. დალაქიშვილი, კ. კარანაძე, დ. კუდინოვი, თ. ლოგუა, თ. მურჯიკნელი, ზ. რუხაძე, გ. ტყებუჩავა, ა. წიკლაური, დ. სანიკიძე, ს. ჰედია.

I ᲚᲘᲒᲐ

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲑᲚᲝᲙᲜᲝᲢᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ლოკომოტივისა" და ქუთაისის „ტორპედოს" დუბლიორ ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით — 4:0.

ხაბაროვსკის არმიელთა გუნდისა და ლანჩხუთის „გურიის" სათადარიგო შემადგენლობათა თამაში არ შემდგარა.

„ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ"

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ გაიმართა ტრადიციული, 59-ე „სუპერფინალური" მატჩი ფეხბურთში. როგორც წესი, ყოველი საფეხბურთო სეზონი ინგლისში იწყება ამ ქვეყნის ჩემპიონისა და თასის მფლობელის შეხვედრით.

„უემბლის" სტადიონზე ამ მატჩს ესწრებოდა 93 ათასი მაყურებელი. ერთმანეთს შეხვდნენ ჩემპიონი — „ასტონ ვილა" (ბირმინგემი) და თასის მფლობელი — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი). 90-წუთიანმა ბრძოლამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 2:2.

აღსანიშნავია, რომ „ტოტენჰემ ჰოტსპურის" კარს იცავდა „ლივერპულის" ცნობილი მეკარე რ. კლემენსი. ამას წინათ მან განაცხადა, რომ თავს ანებებს თამაშს, შემდეგ გადასვლა დააპირა ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა და „ტოტენჰემ ჰოტსპურში" მოგვევლინა.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ „ᲙᲐᲠᲚ-ᲪᲐᲘᲡᲘᲓᲐᲜ"

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ჟურნალმა „დი ნოიე ფუსბალვოჰე" მოაწყო სპეციალისტების ტრადიციული გამოკითხვა გდრ-ის საუკეთესო ფეხბურთელთა გამოსავლენად. საინტერესოა, რომ პირველ სამეულში მხოლოდ იენის „კარლ ცაისის" მოთამაშეები მოხვდნენ.

ქვეყნის № 1 ფეხბურთელად აღიარეს მეკარე გრაპენტინი, მეორე ადგილი ერგო ნახევარმცველ შნუპჰაზეს, მესამე — 38 წლის თავდამსხმელ ფოგელს.

ᲛᲔᲜᲝᲢᲘᲛ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲘᲡ ნაკრების მწვრთნელმა ლ. მენოტიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის მოემზადებიან.

მწვრთნელის სიაში არიან: მეკარეები — ფილოლი, ბალეი, პუმპიდო, დაცვა — ტარანტინი, ოლგუინი, გალვანი, სიმონი, ვილავერდე, პასარელა, ვან ტუინე, ბაუზა, ოკანო, კლაუსენი, ტროსერო, შუა ხაზი — გალიეგო, ბარბასი, გაიტანი, არეგი, ბულერი, ერნანდესი, ვალენსია, მარადონა, ფრენი, ერედია, თავდასხმა — სანტამარია, დიასი, კემპესი, ბრაილოვსკი, გროსო.

სურათზე: შეტევაზეა არგენტინელთა იმედი დიეგო მარადონა.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ, ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

ᲒᲤᲠ

III ტურში მიუნხენის „ბაიერნმა" მიიღო მეორე ლიგიდან დაბრუნებული „ვერდერი" (ბრემენი) და გაიმარჯვა ანგარიშით 3:1. „ჰამბურგერ შპორტფერაინი" შინ ეთამაშა დორტმუნდის „ბორუსიას", რომელსაც ახლა ჰამბურგელთა ყოფილი მწვრთნელი ზებეცი უდგას სათავეში — 2:2.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „დუისბურგი" — „კაიზერსლაუტერნი" 3:1, „ბორუსია" (მიონხენგლადბახი) — „კარლსრუე" 2:2, „ბაიერი" (ლევერკუზენი) — „დარმშტადტი" 3:2, „არმინია" (ბილეფელდი) — „ფორტუნა" (დიუსელდორფი) 1:1, „შტუტგარტი" — „აინტრაჰტი" (ბრაუნშვაიგი) 2:0, „აინტრაჰტი" (მაინის ფრანკფურტი) — „ნიურნბერგი" 3:1 „ბოხუმი" — „კიოლნი" 3:1.

III ტურის შემდეგ 6-6 ქულა აქვთ „ბაიერნს", „ბოხუმსა" და „შტუტგარტს", 5 — „აინტრაჰტს" (მაინის ფრანკფურტი).

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

VII ტურის შემდეგ კვლავინდებურად წინაა „ოლიმპიკი" (ლიონი), რომელმაც ბოლო ტურში ანგარიშით 2:0 დაამარცხა „მონპელიე" და 12 ქულა მოაგროვა. „ჟირონდას" (ბორდო) 11 ქულა აქვს. „სოშო" პარიზში დამარცხდა (0:1) ადგილობრივ „სენ-ჟერმენთან" და 9 ქულით მესამე ადგილზეა.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

გათამაშების I ტურში ჩემპიონმა — „ბანიკმა" (ოსტრავა) დიდი ანგარიშით სძლია ბრატისლავის „ინტერს" — 4:1.

სხვა მატჩები: „სპარტა" (პრაღა) — „ზბროიოვკა" (ბრნო) 2:2, „დუკლა" (ბანსკა-ბისტრიცა) — „ტატრანი" (პრეშოვი) 0:1, „სპარტაკი" (ტრნავა) — „ნიტრა" 0:1, „სლოვანი" (ბრატისლავა) — „ვიტკოვიცე" 2:1, „ლოკომოტივი" (კოშიცე) — „დუკლა" (პრაღა) 1:2, „პეტრჟალკა" — „სლავია" (პრაღა) 3:1.

ᲒᲓᲠ

I ტურში „კარლ ცაისმა" (იენა) სასტიკი მარცხი აგემა ცვიკაუს „ზაქსენრინგს" — 6:0. გოლები გაიტანეს შნუპჰაზემ (3), რააბმა, ბილაუმ და ვაიზემ.

სხვა მატჩები: „დინამო" (ბერლინი) — „კარლ-მარქს-შტადტი" 4:2, „მაგდებურგი" — როსტოკის „ჰანზა" 3:2, „დინამო" (დრეზდენი) — „ფორვერტსი" (ოდერის ფრანკფურტი) 1:0, „ხემი" (ჰალე)— „ლოკომოტივი" (ლაიფციგი) 1:1, „ენერგო" (გოტბუსი)—„როტ-ვაისი" (ერფურტი) 0:5, „ვისმუტი" (აუე) — „ხემიბუნა" (შკოპაუ) 4:2.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

II ტურის შემდეგ 4-4 ქულით წინ არიან „ბეკეშბაბა" და ბუდაპეშტის „უიპეშტ-დოჟა".

II ტურში „ბეკეშბაბამ" შინ ანგარიშით 3:1 სძლია ჩემპიონს — „ფერენცვაროშს" (ბუდაპეშტი). თამაშს ესწრებოდა ამ ტურისთვის მაყურებელთა სარეკორდო რიცხვი — 18 ათასი.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

IV ტურის შემდეგ 7 ქულით წინაა სპლიტის „ჰაიდუკი". 6-6 ქულა მოაგროვეს ნოვი-სადის „ვოივოდინამ", ბელგრადის „პარტიზანმა" და „ოსიეკმა", 5 — ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ".

● მსოფლიოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში

თბილისელთა კარგი სტარტი

ოსლოში სტარტი აიღო კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატმა. შეჯიბრებაში 22 ქვეყნის 144 მოჭიდავე ჩაება. ასპარეზობის პირველ დღეს 77 ორთაბრძოლა გაიმართა. საბჭოთა სპორტსმენებმა 10 შეხვედრა ჩაატარეს და 8-ში გაიმარჯვეს. მათ შორისაა თბილისელი ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ბლაგიძე (57 კგ), რომელმაც ბულგარელ ლ. ცეკოვს სძლია. მეორე თბილისელმა სპორტსმენმა, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონმა მ. სალაძემ მესამე წუთზე დაამარცხა ამერიკელი გ. გიბსონი.

დანარჩენი საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლების შედეგები ასეთია: ქვემსუბუქი წონის ჟ. უშკემპიროვმა მოუგო იტალიელ ვ. მაენცუს, გ. ერმილოვმა (68 კგ) სძლია ნორვეგიელ ა. სტოვეს, ა. კუდრიავცევმა (74) — ბულგარელ ი. შოპოვს, ი. კანიგინმა (მეორე ქვესაშუალო წონა) — ბულგარელ ი. პეტროვს. გ. კორბანმა — (82) — ბულგარელ პ. პავლოვს, ე. არტიუხინმა (მძიმე წონა) — ნორვეგიელ ჩ. სვანულს; ი. როსტოვცევი (57 კგ) დამარცხდა პ. პასარელთან (გფრ), ი. კორჩაგინი (62 კგ) ისვენებდა.

● მძლეოსნობა

მსოფლიო თასებისთვის

ზაგრებში ევროპის თასების გათამაშების შედეგებისა და სეზონში სპორტსმენთა პირადი მიღწევების საფუძველზე შედგა კონტინენტის მძლეოსანთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს 4-6 სექტემბერს რომში მსოფლიო თასის გათამაშებაში (სსრ კავშირი, გდრ და მასპინძლები ცალ-ცალკე გუნდებით გამოვლენ). პროგრამის ოთხ სახეობაში დასახელებულია ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენი იარმილა კრატოხვილოვა. მართალია, მის გუნდს ზაგრებში არ უასპარეზია, მაგრამ იარმილას მიღწევა სპრინტში ძალზე შთამბეჭდავია, იგი გამოვა 200 და 400 მ დისტანციაზე და 4X100 და 4X400 მ ესტაფეტებში.

ევროპის ქალთა ნაკრებში არიან აგრეთვე მსოფლიო რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში ანტოანეტა ტოდოროვა (ბულგარეთი), მისი თანამემამულე ბადროსმტყორცნელი მარია ნეტკოვა, ჩეხოსლოვაკიელი ბირთვისმკვრელი ჰელენა ფიბინგეროვა და პოლონეთის, რუმინეთის, დიდი ბრიტანეთის, გფრ-ისა და შვეციის სპორტსმენები.

ვაჟთა გუნდის შემადგენლობაში გამოვლენ ოლიმპიადა-80-ის ჩემპიონები: სპრინტერი ალან უელსი, საშუალო დისტანციებზე მორბენლები სებასტიან კოე და სტივ ოვეტი, პოლონეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის საფრანგეთის, გფრ-ის, ფინეთის, ნიდერლანდების, შვეციის, ირლანდიისა და ესპანეთის მძლეოსნები.

• • •

ნიუ-იორკი. 400 მ თარჯრბენში მსოფლიო რეკორდსმენი ედვინ მოზესი, ამერიკის მძლეოსნობის ვეტერანები მედლინ მენინგი, 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 800 მ-ზე რბენაში და 1976 წლის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი ჯონ პაუელი (ბირთვი) დაიცავენ აშშ-ის ნაკრების ღირსებას მსოფლიო თასის გათამაშებაში. გუნდში შეყვანილია, აგრეთვე თასის წინა გათამაშებაში 100 და 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ეველინ ეშფორდი, სიგრძეზე მხტომელი ჯოდი ანდერსონი, სამხტომელი უილიამს ბენქსი, სპრინტერი ჯეიმს სანფორდი და სხვა ძლიერი სპორტსმენები. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასი მონრეალში აშშ-ის ვაჟთა ნაკრებმა მოიპოვა. (საკდესი).

ავტოგრაფი

თენგიზ სულაქველიძე.

სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიბადა 1956 წლის 23 ივლისს ქუთაისში. დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. სიმაღლე 177 სანტიმეტრი, წონა 76 კილოგრამი.

— სად დაიწყეთ ფეხბურთის თამაში და ვინ იყვნენ თქვენი პირველი მწვრთნელები?

— თამაში დავიწყე ქუთაისში. ჩემი პირველი მწვრთნელები იყვნენ მიხეილ ლოსაბერიძე და კარლო ხურციძე. ვთამაშობდი ქუთაისის „ტორპედოში".

— თბილისის „დინამოში" როდის გადმოხვედით?

— 1978 წლის 10 აგვისტოს. ჩემი „დებიუტი" ბაქოში შედგა, „ნეფთჩისთან" მატჩში.

— გაიხსენეთ თქვენი პირველი საერთაშორისო მატჩი.

— 1979 წელს იტალიაში „ნაპოლისთან" ვითამაშეთ. გავიმარჯვეთ ანგარიშით 1:0.

— თასების მფლობელთა თასისთვის ბრძოლაში რა ნიშანს დაუწერდით თენგიზ სულაქველიძეს?

— ნიშნები უკვე დაგვიწერა ახალკაცმა. პირადად მე მიმაჩნია, რომ კარგად ვითამაშე: „ვესტ ჰემთან" ინგლისში, „ფაიენოორდთან" თბილისში და ფინალურ მატჩში. სიმართლე გითხრათ, ამ მატჩებმა სიქა გაგვაძრო, მაგრამ იმ დიდი სიხარულის მომსწრეს, რაც თბილისში ჩამოფრენისას ვნახე, განა მეკადრება დაღლაზე ლაპარაკი?

— რას იტყვით თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა შესახებ?

— ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტი გულშემატკივარი ჩვენ გვყავს. გავიხსენოთ, თუნდაც, ამასწინანდელი სტატისტიკური მონაცემები. თბილისის „დინამოს" სტადიონმა ხომ პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში მაყურებელთა სიმრავლის მხრივ. გასვლითი მატჩების დროსაც სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე ხშირად გვესმის ტრიბუნებიდან „დინამო! დინამო!"

— თქვენი ნაკლი?

— საკუთარ თავზე უფრო მეტი მუშაობა მმართებს, საჭიროა კიდევ უფრო დავხვეწო ტექნიკა. ნახევარდაცვაში ცოტა კიდევ მიჭირს თამაში (რაც ფეხბურთს ვთამაშობ, სულ დაცვაში ვარ). თამაშის დროს, ზოგჯერ ზომაზე მეტად ვფიცხობ, ვეცდები ეს ნაკლიც აღმოვფხვრა.

— თამაშის წინ როგორ ემზადებით?

— საკუთარ თავს მხოლოდ მოგებისთვის ვამზადებ. თუ მატჩი მოვიგეთ, ქუჩაში გამოსვლა მიხარია, თუ წავაგეთ, შინ ვზივარ.

— საბჭოთა და საზღვარგარეთელი ფეხბურთელებიდან ვინ მოგწონთ?

— ბლოხინი და მარადონა.

— რას იტყვით მათ შესახებ?

— ბლოხინი ტექნიკური და მებრძოლი ფეხბურთელია, ახალგაზრდებისთვის მაგალითის მიმცემი პიროვნებაა — მეგობრული, ერთგული და თავმდაბალი ადამიანია. მარადონას წინააღმდეგ 1980 წელს ვითამაშე არგენტინისა და ბრაზილიის ტურნეში.

საოცარი რამ მოხდა. თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე მწვრთნელმა დამაკისრა მარადონას პერსონალური მეურვეობა. ერთი კი გავიფიქრე — რაღა მე მეთქი, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ ეს დიდი ნდობა და პატივი იყო და მარადონას „მეურვეობას" დიდი პასუხისმგებლობით შევუდექი. მარადონა მოუსვენარია, ერთ პოზიციაში არ ჩერდება, გამუდმებით იცვლის ადგილს, თანაც საოცრად ტექნიკურია. ერთი სიტყვით, ეს სუპერვარსკვლავია.

* * *

აქ ავტორის უფლებით ვისარგებლებ და ვიტყვი, რაც თენგიზმა თავმდაბლობის გამო არ თქვა. საბჭოთა კავშირისა და არგენტინის გუნდების მატჩის შემდეგ სპორტული გაზეთი „მარ-დე-პლატა" წერდა — „საბჭოთა კავშირის ნაკრების მეშვიდე ნომერმა თენგიზ სულაქველიძემ გასაქანი არ მისცა დიეგო მარადონას, რაც მთავარია, ამ „დუელში" არ ყოფილა უხეშობის არც ერთი შემთხვევა, ეს კი საბჭოთა ფეხბურთელის მაღალ კლასზე მეტყველებს". ამ მატჩის შემდეგ ბესკოვმა სულაქველიძეს „ხუთიანი" დაუწერა.

* * *

— როგორც ფეხბურთელს, თბილისის „დინამოში" გატარებულმა ამ სამმა წელმა რა შეგძინათ?

— ადრე თუ მხოლოდ დაცვაში გამოვდიოდი, ახლა შემიძლია ნებისმიერ ადგილზე ვითამაშო. ჩემი აზრით, ფეხბურთელი უნივერსალური უნდა იყოს და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი პოზიციის დაკავება შეეძლოს. ასეთები იყვნენ მურთაზ ხურცილავა, გურამ პეტრიაშვილი, ასეთები არიან ჩივაძე და ყიფიანი.

— „ფაიენოორდთან" თბილისში ჩატარებული მატჩის შემდეგ ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა თქვენ „რაკეტა" გიწოდეს. ამაზე რას იტყვით?

— ალბათ, ჩემი ძლიერი ფიზიკური მომზადების გამო. ყველაფერი კი ქუთაისიდან დაიწყო. ბავშვობა ქუთაისის ლამაზ უბანში „ჭომაში" გავატარე. ბავშვები ზაფხულობით დღე და ღამე მდინარეზე ვიყავით. აქ ნიჩბოსნობის ბაზა იყო. ნიჩბოსანთა მწვრთნელი შაქრო მაღლაფერიძე ხშირად მათხოვებდა ხოლმე ნავს. როცა მომწყინდებოდა, ცურვით ვირთობდი თავს, შემდეგ ფეხბურთს ვთამაშობდით. აი, იქ გავიკაჟე ჯანმრთელობა და გავიმაგრე კუნთები. კარგი ფიზიკური მომზადება ფეხბურთელისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფაქტორია.

— ადამიანის რა თვისებებს აფასებთ?

— მეგობრობას, ოჯახის, საქმის ერთგულებას და გულწრფელ ღიმილს. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ფოტორეპორტიორს კონსტანტინე შანიძეს ერთგულებისთვის. იგი ყოველი მატჩის შემდეგ ახლადდაბეჭდილ ფოტოებს გვირიგებს.

— რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე პრესაში დაბეჭდილი მასალები?

— ნურც ერთი სახელგანთქმული ფეხბურთელი ნუ იტყვის, რომ მისთვის სულ ერთია დაბეჭდავენ თუ არა მის შესახებ რაიმეს გაზეთში. როცა ჩემს შესახებ კარგს წერენ, რა თქმა უნდა, მიხარია და გული სიამაყით მევსება.

რა თქმა უნდა, საქმის ღრმა ცოდნით დაწერილი სტატია ჩვენთვისაც ჭკუის სასწავლებელია. მაგრამ ისიც ხდება ხოლმე, რომ ზოგჯერ აქა-იქ ზერელედ დაწერილი წერილებიც გამოჩნდება გაზეთებში... ფეხბურთელს სამართლიანი კრიტიკის ატანაც უნდა შეეძლოს...

— ხომ არაფერს ეტყვით ფეხბურთის გულშემატკივრებს?

(პასუხი საკუთარი ხელით დაწერა).

საუბარი ჩაიწერა
თ. პეიშვილმა,

კ. შანიძის ფოტო.

გიყვარდეთ ფეხბურთი...
თენგიზ სულაქველიძე

პანორამა

● კალათბურთი

სსრ კავშირის ვაჟ კალათბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც კოლუმბიაში მოეწყო.

საბჭოთა გუნდის გარდა, ასპარეზობაში მონაწილეობდნენ კოლუმბიის ნაკრები, „ტანმოვარჯიშეები და მოფარიკავენი" (არგენტინა) და „ოლ სტარზი" (აშშ).

პირველი ეტაპი გაიმართა ბოგოტაში, სადაც ჩვენმა გუნდმა ყველა მეტოქე დაამარცხა, შემდეგ ტურნირის მონაწილენი გადავიდნენ მედელინში და კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ჩვენმა კალათბურთელებმა აქაც იმარჯვეს: დაამარცხეს კოლუმბიის ნაკრები — 109:75, „ოლ სტარზი" — 83:72, „ტანმოვარჯიშეები და მოფარიკავენი" — 94:83.

● მძლეოსნობა

ბრიუსელი. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონმა ინგლისელმა სებასტიან კოემ 48 საათის შემდეგ კვლავ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი ერთ მილზე რბენაში. ბრიუსელში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მან ეს მანძილი 3.47,33-ში დაფარა, რაც 1,7-ით სჯობს მისი თანამემამულის, ასევე მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის სტივ ოვეტის მიერ კობლენცში (გფრ) ნაჩვენებ მიღწევას.

სურათზე: ს. კოე.



● ველოსპორტი

პრაღაში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში. მედლები უკვე გათამაშდა ვაჟთა გუნდების 100 კმ-ზე რბოლაში. გაიმართა აგრეთვე ქალთა ჯგუფური რბოლა (53,6 კმ). ვაჟების ასპარეზობა მოიგო გდრ-ის ნაკრებმა, მეორე ადგილზე გავიდნენ საბჭოთა ველოსიპედისტები, „ბრინჯაო" ხვდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს.

ერთობ დაძაბულად წარიმართა ქალების რბოლა. საკმარისია ითქვას, რომ ფინიშის ხაზი ერთნაირ დროში — 1:30,2 — გადაკვეთა ასპარეზობის 12-მა მონაწილემ. მხოლოდ ფოტოფინიშის დაკვირვებით შესწავლამ დაადგინა პრიზიორები: 1. უ. ენზენაუერი (გფრ), 2. დ. ლონგო (საფრანგეთი), 3. კ. კარპენტერი (აშშ). საბჭოთა სპორტსმენს გ. ცარიოვას მეოთხე ადგილი მიეკუთვნა.

ხალიჩაზეა არბიტრი ქალი

ქალაქ ოსაკას ერთ-ერთი კომპანიის მოსამსახურემ 25 წლის ისიკო მაედამ იაპონიაში, და ალბათ მთელ მსოფლიოშიც, პირველმა ქალმა მიიღო თავისუფალი ჭიდაობის მსაჯის მოწმობა.

ჯერჯერობით მას მინიჭებული აქვს მხოლოდ მესამე კატეგორია, რომელიც იაპონური წესების თანახმად პრეფექტურის დონის შეხვედრების მსაჯობის უფლებას აძლევს, მაგრამ ი. მაედას განზრახული აქვს უახლოეს დროში მიიღოს მეორე კატეგორია. „სიმართლე რომ ვთქვა, — ამბობს ი. მაედა, — ხალიჩაზე 7-წუთიანი ორთაბრძოლა დიდი დატვირთვაა მსაჯისთვისაც, რომელმაც განუწყვეტლივ უნდა იმოძრაოს რბილ ხალიჩაზე და ამავე დროს ერთი წუთითაც არ მოადუნოს ყურადღება".

„სპორტლოტო"

29 აგვისტოს გაიმართა „სპორტლოტოს" 35-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 21 (ცურვა), 28 (ტყვიის სროლა), 29 (სასტენდო სროლა), 41 (სამბო), 47 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 3 (ბობსლეი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 10 (წყალბურთი), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 32 (ფიგურული სრიალი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გამზირი, 74)
30 აგვისტო
რეგბი
საბჭოთა კავშირის პირველობა
უმაღლესი ლიგა
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ავიატორი" (კიევი)
დასაწყისი 19 ს.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 30 აგვისტო. „სპარტაკის" ბაზა დიღომში. „სპარტაკი" (თბილისი) — „ვარძია" (ახპინძა). დასაწყისი 12 ს., **დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ალგეთი" (მარნეული). 17 ს., „სინათლის" სტადიონი. „ავტომობილისტი" (თბილისი) — „ალაზანი" (გურჯაანი). 18 ს.**

4-5-6 სექტემბერს

„განთიადის" ცენტრალური საბჭო მძლეოსნობის სახახლეში (წერეთლის პროსპექტი, 95) აწყობს ტრადიციულ რესპუბლიკურ **„ხალხური სპარტაკიადას"**, რომლის პროგრამაშია: ბაგირის გადაძალვა, ყუმბარის ტყორცნა, რბენა, ბურთის კალათში ჩაგდება, შაში და სხვა.

დასაწყისი 10 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 27.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 ~~15~~ 16 17 ИНДЕКС 66435 უე 14937